შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ბალავერი“

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. №100-ში (ს/კ № 01.13.02.004.185) მდებარე რსებული შენობის დემონტაჟისა და ახალი, საპროექტო შენობის მშენებლობის დროს მისი შესაძლო გავლენა სამეზობლო მიჯნაზე 20 მეტრის რადიუსში მდებარე შენობებზე მათი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.



თბილისი 2023

კონსტრუქციული დასკვნა
ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. №100-ში (ს/კ № 01.13.02.004.185) მდებარე ორსართულიანი შენობის (შენობა 01/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 18 დეკემბერი 2023 წელი

დავალების თანახმად, შპს „ბალავერი“-ს კონსტრუქტორთა ჯგუფის მიერ, ადგილზე, ვიზუალურად დათვალიერებული და შესწავლილი იქნა ქალაქი თბილისში, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60); ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №100; ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №100ა მიმდებარედ; ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №100ა; ქალაქი თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/66); ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №102-ში, შპს „პერი“-ს (ID ნომერი: 205080712) საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე [მიწის უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.13.02.004.185. განცხადების რეგისტრაციის №882023202599 16/03/2023 (ნაკვეთის ძველი ნომერი ს/კ: № 01.13.02.004.184)] მდებარე ორსართულიანი შენობის (შენობა 01/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, არსებული შენობის დემონტაჟისა და ახალი, საპროექტო შენობის მშენებლობის დროს მისი შესაძლო გავლენა სამეზობლო მიჯნაზე 20 მეტრის რადიუსში მდებარე შენობებზე მათი შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

„საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრო“-ს მიერ 1992 წელს გამოცემული – „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქციისა“ და СП-13-102-2003-ის „შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევების წესები“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით განისაზღვრა სამუშაოს მეთოდიკა და ამოცანები.

1. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა.
2. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

I. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა

დამკვეთმა წარმოადგინა: კერძო პირის, არქიტექტორ გ. გოგავას მიერ შესრულებული არსებული სიტუაციის ამსახველი შიგა აზომვითი ნახაზები, რომლებიც გამოყენებულ იქნა შენობის გაბარიტული ზომებისა და მზიდი კონსტრუქციული ელემენტების გეომეტრიული პარამეტრების დასადგენად, პარალელურად შესწავლილ იქნა შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა.

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობა მდებარეობს ქალაქ თბილისში, დიღმის საცხოვრებელი მასივის ტერიტორიაზე (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით: ზონა – თბილისი; სექტორი – დიდუბე), რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №71-ე დადგენილების: ტექნიკური რეგლამენტის – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3)-ის სეისმური საშიშროების რუქის დანართის MSK-64 სკალის მიხედვით მიეკუთვნება 8-

ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტით A=0,17.

ზემოხსენებული ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5)-ის მიხედვით კი ქალაქ თბილისის ამ უბნისათვის: თოვლის საფარის წონა შეადგენს 0,50 კპა-ს, ხოლო ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა კი 0,85 კპა-ს (15 წელიწადში ერთხელ), ადგილმდებარეობის გათვალისწინებით (მტკვრის ხეობის მარჯვენა მხარე).

აგებისდროინდელი მდგომარეობით, თავდაპირველად, მთლიანი შენობა წარმოადგენდა ერთ მთლიან სხეულს, რომელსაც ამჟამად ჰყავს ორი მესაკუთრე და საკადასტრო მონაცემების მიხედვით შედგება ორი პირობითი ნაკვეთურებისგან [პირობითად ჩრდილოეთით მდებარე ნაკვეთური, რომლის მესაკუთრეა შპს „პერი“, განთავსებულია № 01.13.02.004.185 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე (შენობა 01/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით), ხოლო პირობითად სამხრეთით მდებარე ნაკვეთური, რომლის მესაკუთრეა შპს „ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“, განთავსებულია № 01.13.02.004.039 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით)]. შენობა აგებულია XX საუკუნის 70-იანი წლებში, და იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“-ს კუთვნილება. მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“ ჩამოყალიბდა 1973 წელს ნახევრადგამტარული ხელსაწყოების ფიზიკურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, თბილისის საკონსტრუქტორო ბიუროსთან და მასთან არსებული საცდელი ქარხნის ბაზაზე. XX-საუკუნის ბოლოს, ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და პოლიტიკური ვითარების გამო ბევრმა საწარმომ შეწყვიტა ფუნქციონირება, ერთ-ერთი მათგანი იყო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „მიონი“, რომლის ბალანსზე არსებული შენობები თანდათან გადადიოდა ახალი მფლობელების ხელში. ჩვენს მიერ შესწავლილი, № 01.13.02.004.185 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე მდებარე შენობის (შენობა 01/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს არსებული, მთლიანი ორსართულიანი საოფისე შენობის ჩრდილოეთით მდებარე ნაკვეთურს) ახალი მფლობელია შპს „პერი“. შესწავლილი შენობის საანგარიშო სქემა კარკასულია და შესრულებულია სეისმურ რაიონებში მშენებლობისთვის გათვალისწინებული მრავალსართულიანი სამრეწველო შენობების კარკასის, ИИС-20 ტიპიური სერიის ანაკრები რკინაბეტონის ელემენტებისაგან, კარკასის ღერძების ბადით 6,0X(8,60+8,90) მ. ИИС-22 ტიპიური სერიით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის სვეტების „ვუტებზე“ განივი მიმართულებით ეყრდნობა ანაკრები რკინაბეტონის 800 მმ. სიმაღლის, ИИС-23-2 ტიპიური სერიით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის რიგელები: „ა“/„ბ“ ღერძებს შორის В4-9 ნიშანდების რიგელი სიგრძით 7980 მმ, ხოლო „ბ“/„გ“ ღერძებს შორის კი В5-17 ნიშანდების რიგელები სიგრძით 8280 მმ, რომლებიც ზედა შრეში არსებული მუშა არმატურის ღეროებით დაკავშირებულნი არიან სვეტების არმატურის ნაშვერებთან აბაზანური შედუღებით, ხოლო ქვედა სარტყელის კიდეზე არსებული ჩასატანებელი დეტალები დადუღებულნი არიან სვეტის „ვუტი“-ს ზედა დონეზე მოწყობილ ჩასატანებელ დეტალებზე. გრძივი მიმართულებით, რიგელების თაროებზე დაყრდნობილია 1.141-1 ტიპიური სერიით დამზადებული ანაკრები რკინაბეტონის ღრუტანიანი ფილები, სისქით 220 მმ. სვეტებს შორის გრძივი კავშირისთვის მოწყობილია ანაკრები რკინაბეტონის შემკრავი ფილები. შენობის შემომზღუდავი კედლები მეორე სართულზე შესრულებულია ანაკრები რკინაბეტონის საკედლე პანელებით, ხოლო პირველ სართულზე კი მცირეგაბარიტიანი ბეტონის საკედლე ბლოკების შევსებით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. შენობის სახურავი

თავდაპირველად იყო ბრტყელი, ხოლო მოგვიანებით, ატმოსფერული ნალექებისგან უკეთ დაცვის მიზნით მოეწყო ორქანობიანი სახურავი ხის ნივნივებითა და ლითონის ფურცლოვანი ბურულით.

შენობაზე ადრე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი შენობა ჭიქისებრი (წერტილოვანი) საძირკვლებით დაფუძნებულია კაჭარ-კენჭნარის ფენაზე და ჩაღრმავებულია მოშანდაკების (რელიეფის) ზედაპირიდან 3,90 მ-ით, რომელსაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 419,100 ტოპოგეგმის მიხედვით. პირველი სართულის კედლები დაშენებულია წერტილოვან საძირკვლებზე დაყრდნობილ საძირკვლის კოჭებზე, რომლებიც მოწყობილია შენობის მთელ კონტურზე. 2022 წლის აგვისტო-სექტემბერში, შპს „გენგეო“-ს საძიებო ჯგუფის მიერ ჩატარებული იქნა გეოლოგიური სამუშაოები, რის შედეგად გამოკვლეულ იქნა სადემონტაჟე შენობის უშუალო სიახლოვეს მდებარე, № 01.13.02.004.033 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული შენობის (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით) საძირკვლების ტიპი, გაბარიტული ზომები და დაფუძნების პირობები (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გრაფიკული ნაწილი, შურფი №10), რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ სამეზობლო მიჯნაზე განთავსებული შენობის საძირკვლის ტიპი „ლენტურ-წერტილოვანია“ და ის დაფუძნებულია კენჭნარ გრუნტზე (ფენა №3). საძირკვლის ძირი ჩაღრმავებულია რელიეფის ზედაპირიდან 3,80 მ-ით (საძირკვლის ძირის სიგანე 1,40 მ-ია), რასაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 418,600 ტოპოგეგმის მიხედვით. 2023 წლის მაისის თვეში, დამატებით ჩატარებული სამუშაოების შემდეგ დადგინდა, სამეზობლო მიჯნაზე მდებარე დანარჩენი შენობების საძირკვლების გაბარიტული ზომები და დაფუძნების პირობები: სამხრეთით, № 01.13.02.004.039 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული შენობის (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით) საძირკვლების ტიპი ლენტურია და შესრულებულია მონოლითური ბეტონისაგან (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გრაფიკული ნაწილი, შურფი №12, რომელიც გეოლოგიურ–ლითოლოგიურ ჭრილებში დაფიქსირებულია, როგორც შურფი №2) და ის დაფუძნებულია კენჭნარ გრუნტზე (ფენა №3). საძირკვლის ძირი ჩაღრმავებულია საწყობის იატაკის ზედაპირის ნიშნულიდან 3,30 მ-ით (საძირკვლის ძირის სიგანის ზუსტი ზომა ვერ დადგინდა), რასაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 419,100 ტოპოგეგმის მიხედვით, ხოლო დასავლეთით, № 01.13.02.004.170 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული შენობის (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) საძირკვლების ტიპი ლენტურია და შესრულებულია მონოლითური ბეტონისაგან (იხ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის გრაფიკული ნაწილი, შურფი №11, რომელიც გეოლოგიურ–ლითოლოგიურ ჭრილებში დაფიქსირებულია, როგორც შურფი №1) და ის დაფუძნებულია თიხნარ გრუნტზე (ფენა №2). საძირკვლის ძირი ჩაღრმავებულია ეზოს რელიეფის ზედაპირიდან 1,60 მ-ით (საძირკვლის ძირის სიგანე 0,40 მ-ია), რასაც შეესაბამება აბსოლუტური ნიშნული 420,700 ტოპოგეგმის მიხედვით.

ევროპის მაკროსეისმური სკალის, MSK-64 ის მიხედვით შენობა მიეკუთვნება „გ“-ტიპის შენობას: **„კარკასული რკინაბეტონის შენობები**, კარგი ხარისხის ხის სახლები“ (ზემოხსენებული ინსტრუქციის დანართი V გვ. 128).

დამკვეთს განზრახული აქვს, რომ მის საკუთრებაში არსებული საოფისე ფართის ნაცვლად ააშენოს მრავალფუნქციური, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი, რის გამოც დღის წესრიგში დადგა შპს „პერი“-ს საკუთრებაში არსებული შენობის (შენობა 02/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დემონტაჟი. საპროექტო ტერიტორიას (რომელზეც უნდა განხორციელდეს არსებული შენობის დემონტაჟი და მოეწყოს ახალი

მრავალფუნქციური შენობის კომპლექსი) ესაზღვრება: **ჩრდილოეთიდან** – №01.13.02.004.186 საკადასტრო კოდის მქონე, შპს „პერი“-ს საკუთრებაში არსებული სამეურნეო ეზო [ქალაქი თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/60); ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №100; ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №100ა მიმდებარედ; ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №100ა; ქალაქი თბილისი, ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10 (ნაკვ. 4/66); ქალაქი თბილისი აკაკი ბელიაშვილის ქ. №102. ნაკვეთის ძველი ნომერი №01.13.02.004.184], რომელზეც არსებული ერთსართულიანი, ლითონის ჩარჩოვანი კონსტრუქციის, „ორსკი“-ს ტიპის მოდულის (სერიით 400-0-26) კოლოფისებრი კვეთის კარკასით შესრულებული სამრეწველო შენობა (შენობა 01/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია სადემონტაჟო შენობიდან დაახლოებით 51,0 მ-ით; **აღმოსავლეთიდან – 1.** სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, თანამესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული № 01.13.02.004.033 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი (ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №104), რომელზეც არსებული სამსართულიანი (სარდაფით შენობა (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია სადემონტაჟო შენობიდან 7,40 მ-ით ხოლო მშენებარე შენობიდან 6.5მ–ითდა მის გასწვრივ, სსიპ თვითმმართველი ქალაქი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის (ID ნომერი: 204521794) საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობისაგან თავისუფალი ტერიტორია საკადასტრო კოდით № 01.13.02.004.098 (ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშბილის ქუჩა № 104ა), რომელიც ამჟამად გამოიყენება ავტოპარკინგად; 2. შამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, ბელიაშვილის ქუჩის სავალი ნაწილი; **სამხრეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, შპს "ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი"-ს (ID ნომერი 212273449) საკუთრებაში არსებული №01.13.02.004.039 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი (ქალაქი თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №98) და მასზე განთავსებული შენობები და ნაგებობა (ორსართულიანი შენობა 1/2, ერთსართულიანი ნაგებობა 2/1 და ერთსართულიანი შენობა 3/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელთაგან ორსართულიანი შენობა 1/2 წარმოადგენს სადემონტაჟე შენობის გაგრძელებას.

დასავლეთის – მხრიდან საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება № 01.13.02.004.170 საკადასტრო კოდის მქონე, შპს "ალფა -ს (ID ნომერი: 202201134) საკუთრებაში არსებული ნაკვეთი(ქალაქი თბილისი, კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა №6ვ), რომელზეც არსებული რვასართულიანი შენობა (შენობა 01/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია სადემონტაჟო შენობიდან 5,0 მ-ით, ხოლო საპროექტო შენობიდან 16მ–ით. მათ შორის მოგვიანებით ჩაშენებული შენობა (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) იმყოფება სადემონტაჟე შენობის სამეზობლო მიჯნაზე და დაშორებულია მისგან მხოლოდ ანტისეისმური ნაკერით.



ფოტო 1. საპროექტო ტერიტორიას **სამხრეთიდან** ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, № 01.13.02.004.039 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ორსართულიანი შენობა (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით).



ფოტო 2. საპროექტო ტერიტორიას **დასავლეთიდან** ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, № 01.13.02.004.170 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი შენობა (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით).

შენობების გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა დაფიქსირებულია ფოტომასალაზე, რომელიც დანართის სახით თან ახლავს საექსპერტო დასკვნას.

II. კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება

სადემონტაჟე შენობის ვიზუალური დათვალიერებითა და დეტალური შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შენობის ძირითადი მზიდი კარკასი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, კარკასის ანაკრები რკინაბეტონის ელემენტების შეერთების კვანძები შესრულებულია ხარისხიანად, მაგრამ პირველ სართულზე, ვერტიკალური ბზარები დავაფიქსირეთ ბლოკის კედელში სამ ადგილას: მთავარ შესასვლელთან, ორთავე მხარეს არსებულ მომრგვალებულ მონაკვეთებში და მთავარი შესასვლელიდან მარცხენა მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად შენობის კარკასი დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, შენობა გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობით ვერ აკმაყოფილებენ საქართველოში 2010 წლის 01-იანვრიდან მოქმედი ეროვნული პროექტირების ნორმების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ. 01.01-09)-ის მოთხოვნებს 8-ბალიანი ინტენსივობის სეისმური რაიონებისათვის, აგებისდროინდელ და ამჟამად მოქმედ ნორმებს შორის შეუთავსებლობის გამო (შენობის აგებისდროინდელი ნორმებით ქ. თბილისი მიეკუთვნებოდა 7-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას).

ჩვენს მიერ შესწავლილ შენობაზე დამუშავებულია, ინჟინერ ბ. გოგოლაურის მიერ შესრულებული „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი“, რომელშიც აღწერილია სადემონტაჟე სამუშაოების (იხილე განმარტებითი ბარათის მე-3 პუნქტი) ეტაპები და მიმდევრობა. სადემონტაჟე სამუშაოების წარმოებისთვის შერჩეულია შერჩეულია „KATO SL 650R“-ის ნიშანდების საავტომობილო ამწე, რომლის სვლა-გეზად შერჩეულია სადემონტაჟე შენობის გარე ღერძის პარალელური მიმართულება [იხილე მოპ-ის გრაფიკული ნაწილი მო1 („სამშენებლო გენგეგმა“) და მო2 („სამონტაჟო სქემა“)]. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით რეკომენდირებულია, რომ სამეზობლო მიჯნაზე არსებულ შენობებთან სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს მხოლოდ ხელით, განსაკუთრებული სიფრთხილით. ყველაზე უფრო მეტად საფრთხილოა სადემონტაჟე შენობის დასავლეთით, № 01.13.02.004.170 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი შენობის (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) მიჯნაზე არსებული მონაკვეთი. ამ მონაკვეთში უნდა განხორციელდეს მხოლოდ მიწისზედა ნაწილის დემონტაჟი, ხოლო მიწისქვეშა ნაწილის დემონტაჟის წინ, მოეწყოს შურფები № 01.13.02.004.039 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ორსართულიანი შენობისა (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით) და № 01.13.02.004.170 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთზე განთავსებული ოთხსართულიანი შენობის (შენობა 09/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) მიწისქვეშა ნაწილების დეტალურად შესწავლის მიზნით, აღწერილ იქნას რეალური სიტუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ განხორციელდეს სადემონტაჟე შენობის აღნიშნული ნაწილის მიწისქვეშა კონსტრუქციების დემონტაჟი და ქვაბულის მოწყობის სამუშაოები. მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის მიხედვით, ქვაბულის ფერდის დაცვის მიზნით, სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობების გასწვრივ (ს.კ.01.13.02.004.039;ს.კ.01.13.02.004.170;ს.კ.01.13.02.004.033) მოწყობილია Ø800 მმ დიამეტრის მონოლითური რკინაბეტონისნაბურღ-ნატენი ხიმინჯების გადამღობი მესერი (ეკრანი), რათა თავიდან იქნას აცილებული მომოჯნავე შენობებზე უარყოფითი ზეგავლენა. ხიმინჯების ძირი ჩაანკერებულია გრუნტში 5,0 მ-ით, ხოლო ქვაბულის ძირიდან ზემოთ,სამ სხვადასხვა ნიშნულზე მოწყობილია 600X800(h) მმ განივი კვეთის მქონე მიმჭერი კოჭები.

დემონტაჟის სამუშაოების მიმდინარეობის დროს სადემონტაჟე შენობის გარშემო უნდა განთავსდეს ხილული გამაფრთხილებელი ნიშნები (რათა დაცული იქნას როგორც სამუშაოებზე დასაქმებული, ასევე ობიექტზე შემთხვევით მყოფი პირთა უსაფრთხოება), ხოლო დემონტაჟისა და ახალი მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა განხორციელდეს 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონის - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255-ე დადგენილებისა და ინჟინერ ბ. გოგოლაურის მიერ დამუშავებული „მშენებლობის ორგანიზების პროექტი“-ს, დემონტაჟისა და ახალი მშენებლობის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისთვის დამუშავებული მუხლების მიხედვით. დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში დაცული იქნება როგორც სადემონტაჟო, ასევე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებული მუშა-პერსონალისა და მომიჯნავე შენობების უსაფრთხოება.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

დანართი



ფოტო №3. № 01.13.02.004.186 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი (აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №102-ში მდებარე, შპს „პერი“-ს საკუთრებაში არსებული სამეურნეო ეზო) და მასზე განთავსებული ერთსართულიანი, „ორსკი“-ს ტიპის სამრეწველო შენობა.



ფოტო №4. № 01.13.02.004.033 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი (აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №104-ში მდებარე, თანამესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული ნაკვეთი) და მასზე არსებული სამსართულიანი (სარდასფით) შენობა (შენობა 1/3 საკადასტრო გეგმის მიხედვით)



ფოტო №5. საზოგადოებრივი სივრცე, ბელიაშვილის ქუჩის სავალი ნაწილი



ფოტო №6. № 01.13.02.004.039 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი (აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №98) და მასზე განთავსებული ორსართულიანი შენობა (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით)



ფოტო №7. №01.13.02.004.170 საკადასტრო კოდის მქონე, შპს „ალფა“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი (კონსტანტინე ჩაჩავას ქუჩა №63) და მასზე არსებული რვასართულიანი შენობა (შენობა 01/4 საკადასტრო გეგმის მიხედვით)



ფოტო №8. № 01.13.02.004.185 საკადასტრო კოდის მქონე ნაკვეთი (აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №98) და მასზე განთავსებული ორსართულიანი სადემონტაჟე შენობა (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით)



ფოტო №9. შესწავლილი შენობის საანგარიშო სქემა კარკასულია და შესრულებულია სეისმურ რაიონებში მშენებლობისთვის გათვალისწინებული მრავალსართულიანი სამრეწველო შენობების კარკასის, ИИС-20 ტიპიური სერიის ანაკრები რკინაბეტონის ელემენტებისაგან



ფოტო №10. კარკასის ელემენტები მეორე სართულზე



ფოტო №11. ვერტიკალური ბზარები დავაფიქსირეთ მთავარ შესასვლელთან, ბლოკის კედელში, მარჯვენა მხარეს არსებულ მომრგვალებულ მონაკვეთში

CV

რამაზ აფხაძე



ეროვნება: ქართველი
სქესი: მამრობითი
დაბადების თარიღი: 16.07.1949 წ.
ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული
კონტაქტი: ტელ: 2 63 22 52
მობ: 577 757 028; 571 490 107
5.98 922 254
E-mail: shuxuteli@yahoo.com
shuxuteli@gmail.com

სამუშაო გამოცდილება

შ.პ.ს. „ბალავერი“	- დირექტორი 2016 წლიდან.
შ.პ.ს. “ტანდემი“	- დირექტორი 2011 წლიდან.
შ.პ.ს. “ედრი+“	- მთავარი ინჟინერი 2009 წლიდან.
სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები:	- საცხოვრებელი; სამრეწველო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობათა პროექტირება 1993 წლიდან. - მშენებლობის საავტორო ზედამხედველობა 1998 წლიდან. - პროექტების ექსპერტიზა და შენობა-ნაგებობათა მდგომარეობის გამოკვლევის საექსპერტო შეფასება 2000 წლიდან. - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები 2006 წლიდან
სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო “რემმშენპროექტი”	- წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე. 1976-1993.
ქ. თბილისის საპროექტო ინსტიტუტი „თბილზნიიეპი“	- კონსტრუქტორი. 1973-1976.

გარდა ზემოაღნიშნულისა დარეგისტრირებული ვარ საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროში განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების ექსპერტად: პროექტების კონსტრუქციულ ნაწილში - 2006 წლიდან და შენობათა მდგომარეობის გამოკვლევა – 2009 წლიდან.

2016 წელს მომანიჭეს საქართველოს დამსახურებული მშენებლის წოდება.

განათლება: 1967-1974. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. სპეციალობა-სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ენები: ქართული – მშობლიური; რუსული – სრულყოფილად.

კომპიუტერული ცოდნა: Windows Ms; Word; Excel; AutoCAD; Internet Explorer.
სხვადასხვა: ა/მანქანის მართვის „B“ კატეგორია.

საქართველო

მოქალაძის პირადობის მოწმობა

პირადი № 01003019723

სახელი რამაზი

გვარი აფხაძე

დაბადების თარიღი 16.07.1949

დაბადების ადგილი ლანჩხუთი



№ ბ 1405779

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი მუხიანი I მ/რ კორ. 13 ბ. 146

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გლდანი–ნაძალადევის სამსახური

გაცემის თარიღი 15.11.2010

მოქმედების ვადა 15.11.2020

რეგისტრაციის თარიღი 15.11.2010

ბ.ა.

უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

დამკვეთი: სსიპ სრ. შემსრულებელი: შპს „კაბადონი +"; სფს რეგისტრაციის № 05-1623

შრომითი ბიოგრაფია

სახელი და გვარი: რამაზ აფხაძე

მისამართი: ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ. 13, ბინა 146.

ტელეფონი: 263 22 52; 5.77 757 028; 5.71 49 01 07.

დაბადების თარიღი: 1949 წ. 16 ივლისი

განათლება: 1974 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით.

შრომითი გამოცდილება:

პროექტები©

– თეატრი ქ. მახაჩკალაში; ინტურისტის სასტუმრო 900 ადგილზე ქ. გაგრაში; ინტურისტების სასტუმროსა და საქვაბის კონსტრუქციების გამოკვლევა ქ. ქობულეთში; ტიპიური პროექტები: ექსპერიმენტული საცხოვრებელი სახლი IV-კლიმატური ზონისათვის; პიონერთა ბანაკი; სტადიონი 25000 ადგილზე და სპორტული კომპლექსი; ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე მდებარე გერმანიის საელჩოს შენობის კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევა (ქ. თბილისის ზონალური სამეცნიერო და კვლევითი საპროექტო ინსტიტუტი "თბილზნიიეპი").
– ზესტაფონის კაბელებისა და შორაპნის ელემენტების ქარხნების საცხოვრებელი კორპუსები; კასპის ქ-ნა "ელექტროაპარატის" მთავარი საწარმოო კორპუსის რეკონსტრუქცია და ნეიტრალიზაციის ქვესადგურის პროექტი; გელათის ტრანსფორმატორების ქარხნის საქვაბე; ქ. თბილისის ქ-ნა "ელექტროიზოლიტი"-ს ქარსის საამქროს რეკონსტრუქცია; ქ. თბილისის ქ-ნა "ელექტროშედუღება"-ს დამხმარე საწარმოო კორპუსი; ბაქოს ქარხანა "ცენტროლიტი"-სა და კონდიციონერების ქარხნის საწარმოო საამქროების რეკონსტრუქცია; საწარმოო კომპლექსის პროექტი დასახლება ბინაში (ბაქოს მახლობლად-აზერბაიჯანი); კაბელების ქარხნის მთავარი საწარმოო კორპუსი ქ. კამოში (სომხეთი). საწარმოო კორპუსების გამოკვლევა-გაძლიერება: ქ. თბილისის ქარხნებში "ელმავალმშენებელი"; "ელექტროშედუღება"; "ელექტროაპარატი" და "ელექტროიზოლიტი". „ელექტრომექანიკური" ქარხანა ქ. ქუთაისში; ქარხანა "ემუ" და ელექტრომექანიკური ქარხანა ქ. ფოთში; ქ. ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხანა; კაბელების ქარხნის ცენტრალური საწყობი ქ. ზესტაფონში; შორაპნის ელემენტების ქარხნის ნედლეულის ცენტრალური საწყობი; საბურავების ქარხანა და ქარხანა "არმელექტრომაში" ქ. ერევანში; სამეცნიერო საწარმო "აზნიიეტი" ქ. ბაქოში; ტრანსფორმატორების ქარხნის ადმინისტრაციული კორპუსი ქ. ორჯონიკიძეში (ჩრდილო ოსეთი); ტრანსფორმატორების ქარხნის საწარმოო კორპუსი ქ. ლენინაკანში;

ელექტრომექანიკური ქარხნის საწარმოო კორპუსი ქ. დუშანბეში (სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საკონსტრუქტორო ბიურო "რემმშენპროექტი")
– სასტუმრო "ტფილისი" აბანოთუბანში და ფინანსთა სამინისტროს საოფისე შენობის გადაგეგმარება რეკონსტრუქცია ყოფილი ბარნოვის ქუჩაზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. "კარიბჭე").
– ქ. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რეკონსტრუქცია; ხაშურის რაიონის გომის სპირტის ქარხნის საჩამომსხმელო საამქრო; "რენო"-სა და"ოპელი"-ს ავტოცენტრები ქ. თბილისში; ღვინის ქარხანა „მეღვინეობა ხარება" სოფ. სიქთარვაში (თერჯოლის რ-ნი); თელავის ღვინის ქარხნის საცავი საამქრო; ბორჯომის №1 საჩამომსხმელო ქარხნის საწყობი და შ.პ.ს. "გეოფრიშკომპანი"-ს საწყობი ლანჩხუთის რაიონის სოფელსუფსაში (შ.პ.ს. "სიმაღლე").
– "მაგთივინი"-სა და შ.პ.ს. "ფუძე"-ს მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში ("შანხაის დასახლება"), ყაზბეგის გამზ. №34 (შ.პ.ს. "კულტმშენი").
– ჰიპერმარკეტი "გუდვილი"; საზაფხულო კინოთეატრი ბორჯომპარკში; რკინიგზელთა კულტურის სახლი ქ. ფოთში; მრავალსართულიანი სახლი გოგებაშვილის ქუჩაზე ქ. თბილისში და ბაკურიანის ტურბაზის რეკონსტრუქცია (შ.პ.ს. "გოდაკო+").
– შ.პ.ს. "თეგეტა-მოტორსი"-ს ავტოსერვისცენტრები ქ. თბილისში (შ.პ.ს. "სტუდია-ბეტა") და ფოთში (შ.პ.ს. "მიშელი").
– ქ. თბილისის მე-9 საშ. სკოლა (შ.პ.ს. "არქიტრიო").
– ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსების რეკონსტრუქციის პროექტები (შ.პ.ს. "ინტერსერვისი").
– სავაჭრო ცენტრი ორთაჭალაში, ქ. თბილისში და ბაზალეთის ტურისტული კომპლექსი (შ.პ.ს. "ცენტრი").
– მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში კერესელიძის ქუჩაზე და ლითონის ნაკეთობათა საწყობი დიდუბეში, ვანის ქუჩაზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. "მაქსმშენი").
– ქ. თბილისის №187-ე და №48-ე სკოლების, მცხეთის რაიონის სოფელ გალავნისა და ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალის საშუალო სკოლების გაძლიერება; სასაწყობე მეურნეობა და სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩაზე; საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში შ.პ.ს. „შატო მანავი"-ს ღვინის ქარხნის მიმღები და საცავი საამქროები" (შ.პ.ს. "აგრომრეწვსერვისი").
– თბილისის სპორტის სასახლისა და სასტუმრო "აჭარა"-ს რეკონსტრუქცია; საოფისე საგამოფენო ცენტრი შარდენზე (შ.პ.ს. "აჭარა+").
– მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლის ხეივანსა და მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ; მრავალფუნქციური შენობა გლდანში და მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე - "G" ბლოკი ქ. თბილისში (შ.პ.ს. "ვატო").
– შ.პ.ს. "მერიდიანი"-ს საწარმოო კორპუსი ქიზიყის ქუჩაზე ქ. თბილისში; შ.პ.ს. "გეოლატექსი"-ს სასაწყობე მეურნეობა დ. თავდადებულის ქუჩაზე (დიდი დიღომი) ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი "მარშე" თ. ერისთავის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი "პანორამა" დიდ დიღომში, ქ. თბილისში; შ.პ.ს. „ვინარტი"-ს საოფისე-სასაწყობე შენობა სოფ. დიღომში (დიდი დიღომი) ქ. თბილისში; მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მარაბდის ქ. №27-ში ქ. თბილისი; და ღვინის ქარხანა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში (შ.პ.ს. "ედრი+").
– შ.პ.ს. □თბილღვინო"-ს ღვინის ქარხანა ყვარელში (შ.პ.ს. "მრეწვმშენპროექტი").

– სასაწყობე მეურნეობა ივ. კაჭარავას ქუჩაზე ქ. თბილისში; მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე - "A" ბლოკი ქ. თბილისში; შ.პ.ს. "კახური ტრადიციული მეღვინეობა"-ს ღვინის ქარხნები: საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულთან, გურჯაანის რაიონის სოველ ველისციხეში და დაბა ქედაში; შუშის წრთობის საამქრო ავჭალაში, დ. სარაჯიშვილის ქ. №14ა-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. "ტანდემი").
– კომერციული დანიშნულების შენობა ვარკეთილში და სასაწყობე შენობა გლდანში ქ. თბილისში და ტერმინალი ქ. ფოთში, ლარნაკას ქუჩაზე (შ.პ.ს "ბიჯი").
– სავაჭრო ცენტრი ქ. ქობულეთში და შ.პ.ს. "მათე-მოტორსი"-ს ავტოსალონი აღმაშენებლის ხეივანზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. "არტდიზაინ+").
– ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუკულში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სოფელ ჩიხარი"შის „ოქონის" წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში არსებული „პეტრს ციხე"-ს პირველი ეტაპის რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია").
– თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო ობიექტების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ნაგებობები (შ.პ.ს. „ხუროთმოძღვარი").
– სასაწყობო მეურნეობის სამრეწველო შენობა ფეიქრების ქუჩაზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. "არქდიზაინპროექტი").
– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა"-ს "შატო"-დ წოდებული შენობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამო"ში „თადეოზ გურამი"შვილის საგვარეულო მარანი"-ს რეაბილიტაცია და ღვინის სახლის პროექტი; (შ.პ.ს. „უნი ჯგუფი").
– საკონსერვო ქარხნების პროექტები ქ. ჩოხატაურსა და დაბა ქედაში (შ.პ.ს. "ვაკო").
– ქ. თელავში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (ყოფილი ავტოსკოლის შენობა) რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. Z&S "association").

პროექტების (კონსტრუქციული ნაწილის) ექსპერტიზა:

"ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილი და მაკარონის მწარმოებელი ქარხანა ქ. თბილისში ჭირნახულის ქ. №4-ში; ქ. თბილისში "მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები" ა.მირცხულავას ქ. №11-ში; გორგასლის ქ. №10-ში; შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ საცხოვრებელი ჯგუფი "ფიჭვები" (შ.პ.ს. "თბილსათბობმშენი"); "მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი – "ნუცუბიძე-2007" ქ. თბილისში და თელავის რაიონის სოფელ იყალთოში, ქვევრის სკოლა-სახელოსნო „ქვევრის სახლი"; (შ.პ.ს. "აგრომრეწვსერვისი"); "კლიჩის ხეობის 500 კვ. ეგხ. №212 და №214 ანძების მუშა პროექტი" და "ეგხ. 500 კვ. ენგურჰესი-ცენტრალური (კავკასიონი) №27a საყრდენის მუშა პროექტი" (შ.პ.ს. "ვნვ და კომპანია"); ქ. თბილისში: შ.პ.ს."კარდენახი"-ს მრავალფუნქციური საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა; "მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი ზონა გორგასლის ქ. №40-ში; ც.დადიანის ქ. №271/281-ში მდებარე მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლი; ქ. ფოთში, ლარნაკას ქ. №7-ში მდებარე "სასაწყობე, სამაცივრე მეურნეობის პროექტი"; ქ. ქობულეთში (ვილა-ქობულეთი-საქართველო) მრავალფუნქციური სახლი; საცხოვრებელი სახლი ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის ქ. №113-ში; ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონში, ქეთევან

წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის კორექტირებული პროექტი; ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის გზატკეცილზე (მ. მაჭავარიანის ქუჩა) მდებარე "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ადმინისტრაციული შენობის პროექტი"; ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე №15-ში სპორტკომიტეტის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი; ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №6-ში მდებარე "ომარ ფხაკაძის სახელობის თბილისის ცენტრალური ველოდრომი"-ს დემონტაჟის პროექტი; „მრავალფუნქციური შენობა ქ. თბილისში ყაზბეგის გამზირზე №25"-ში (M^2 საბურთალოზე); ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე (ყოფილი ცეკავშირის შენობის ადგილას) 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს კომპლექსი; "ბათუმი თაუერი" ქ. ბათუმში (შ.პ.ს. "ედრი+"); ბრიტანულ-ქართული აკადემიის კომპლექსი ქ. თბილისში; აბაშის რაიონში, შ.პ.ს. "აბაშის მერძევეობის ფერმა"; ქ. თბილისში "მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი – სოლოლაკის ბაღები"; ქ. თბილისში "მრავალფუნქციური სასტუმრო კომპლექსი – სოლოლაკის მაღლობი"; საცხოვრებელი კომპლექსი "M^2 იპოდრომთან" თამარაშვილის ქ. №13-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. "ტანდემი") და სხვა.

შენობა-ნაგებობათა გამოკვლევა:

ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირზე №22-ში მდებარე "მაგთიკომი"-ს სარეალიზაციო ოფისი; ქ. თბილისის №48-ე და №187-ე საჯარო სკოლები (შ.პ.ს. "აგრომრეწვსერვისი"); სასტუმრო "აჭარა"; ქ. ბორჯომში "კომპოზიტორთა სახლი"; "საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი" ქ. თბილისში "ქ. თბილისში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის (ფალიაშვილის/მოსაშვილის 85/24) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება და საექსპერტო დასკვნის მომზადება"; ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქუჩა №18/რუსთაველის გამზ. №7-ში მშენებარე მრავალფუნქციური სამუზეუმო კომპლექსის შენობაზე მიმდინარე მშენებლობის უსაფრთხოების დაცვის ღონისძიებების შესწავლა; ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, „პარკი მუშთაიდი"-ს (ნაკვ 18/018) მწვანე შენობის (ყოფილი საცეკვაო სტუდია) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ქ. ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაძე მდებარე ქართულ-ამერიკული ტექნოლოგიური უნივერსიტეტის ყოფილი შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ქ. თბილისში, მინდელის ქ. №9-ში მდებარე სსიპ „შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი"-ს ცხრასართულიანი ადმინისტრაციული კორპუსის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა (შ.პ.ს. "ედრი+"); ქ. თბილისში, ვაჟა ფშაველას გამზ. №3-ში, შ.პ.ს. "არდი ჯგუფი"-ს საკუთრებაში არსებული მშენებარე საოფისე შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება"; შ.პ.ს. "თეგეტა მოტორსი"-ს სათაო ოფისისა და სერვისცენტრების შენობების კონსტრუქციული ელემენტების გამოკვლევა ქ. თბილისში აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე №5-ში; უნივერსიტეტის ქ. №6-ში და ქ. ახალციხეში; შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ზაქარია ფალიაშვილის სახ. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახურავის ხის ელემენტების გამოკვლევა; კურორტ საირმეს დასასვენებელი კორპუსების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; თერმული წყლების აბანოს შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა ბაღდათის რაიონის

სოფ. უდაბნოში; ქ. თბილისში, ერეკლე II-ს მოედანი №2-ში მდებარე მრავალფუნქციური ობიექტის („როსტომ მეფის სასახლე“) შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ქ. დედოფლისწყაროში, სოფელ წითელწყაროში მდებარე ყოფილი ხორბლის საცავის (ე.წ. “ზაგოზერნო”-ს) შენობის კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა; ი. ჭავჭავაძის გამზირზე №1-ში მდებარე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I-კორპუსის ბიბლიოთეკისა და რესურსცენტრის რეკონსტრუქციისათვის მზიდი კონსტრუქციების შესწავლა და რეკომენდაციების მომზადება; ქ. თბილისში ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის “დინამო-არენა”-ს კონსტრუქციული გამაგრების სამუშაოების ზედამხედველობა (შ.პ.ს. “ტანდემი”). ქ. თელავში, ბ. ახოსპირელის ქ. №4-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის (ყოფილი ავტოსკოლის შენობა) კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა (შ.პ.ს. Z&S “association”).

სამშენებლო-სამონტაჟი სამუშაოები

საცურაო აუზის მოძრავი სახურავის პროექტი და სამონტაჟო სამუშაოები ვაკეში, ქ. თბილისში (შ.პ.ს. “მაქსმშენი”); საცურაო აუზის მოძრავი სახურავის პროექტი და სამონტაჟო სამუშაოები ბორჯომპარკში (შ.პ.ს. „ტსვ“) და ქ. თბილისში ვ. მოსიძის ქ. №4-ში (ბესიკის II შესახვევი №4) მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კონსტრუქციული ელემენტების გაძლიერება და რეკონსტრუქციის სამუშაოები (შ.პ.ს. “ტანდემი”).

ავტობიოგრაფია

მე, რამაზ აფხაძე დავიბადე 1949 წლის 16 ივლისს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთში, მოსამსახურეების ოჯახში. მშობლები ამჟამად გარდაცვლილია.

1966 – დავამთავრე ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირის საშუალო სკოლა.

1974 – დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით და მომანიჭეს ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

1973-76 – განაწილებით ვმუშაობდი ინჟინერ-კონსტრუქტორად საპროექტო ინსტიტუტ „თბილზნიეპი“-ს მე-2 არქიტექტურულ სახელოსნოში.

1976-93 – ვმუშაობდი სსრკ ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიურო „რემმშენპროექტი“-ში წამყვანი კონსტრუქტორიდან განყოფილების უფროსის თანამდებობამდე.

1993 წლიდან სხვადასხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებში ვეწეოდი საპროექტო სამუშაოებს. შევასრულე **პროექტების კონსტრუქციული ნაწილები:** სასტუმრო „ტფილისი“ აბანოთუბანში (შ.პ.ს. „კარიბჭე“); ქ. თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის რეკონსტრუქცია; ხაშურის რაიონის გომის სპირტის ქარხნის საჩამომსხმელო საამქრო; „რენო“-სა და „ოპელი“-ს ავტოსალონები ქ. თბილისში; „მეღვინეობა ხარება“-ს ღვინის ქარხანა სოფ. სიქთარვაში (თერჯოლის რ-ნი); ბორჯომის №1 საჩამომსხმელო ქარხნის საწყობი (შ.პ.ს. „სიმაღლე“); „მაგთივინი“-სა და შ.პ.ს. “ფუძე”-ს საცხოვრებელი სახლები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „კულტმშენი“); ჰიპერმარკეტი „გუდვილი“; კინოთეატრი ბორჯომპარკში; რკინიგზელთა კულტურის სახლი ქ. ფოთში; (შ.პ.ს. „გოდაკო+“); შ.პ.ს. „თეგეტა-მოტორსი“-ს ავტოსერვისცენტრები ქ. თბილისში (შ.პ.ს. „სტუდია-ბეტა“) და ფოთში (შ.პ.ს. „მიშელი“); ქ. თბილისის მე-9 საშ. სკოლა (შ.პ.ს. „არქიტრიო“); ქ. თბილისის შ. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრისა და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის კორპუსების რეკონსტრუქციის სამუშაოები (შ.პ.ს. „ინტერსერვისი“); სავაჭრო ცენტრი ორთაჭალაში, ქ. თბილისში და ბაზალეთის ტურისტული კომპლექსი (შ.პ.ს. „ცენტრი“); ქ. თბილისის №187-ე და №48-ე სკოლების გაძლიერება; სასაწყობე მეურნეობა და სავაჭრო ცენტრი ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩაზე; საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში შ.პ.ს. „შატო მანავი“-ს ღვინის ქარხნის მიმღები და საცავი საამქროები“ (შ.პ.ს. „აგრომრეწვსერვისი“); თბილისის სპორტის სასახლისა და სასტუმრო „აჭარა“-ს რეკონსტრუქცია; საოფისე საგამოფენო ცენტრი შარდენზე (შ.პ.ს. „აჭარა+“); მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი აღმაშენებლის ხეივანსა და მიქელაძის ქუჩის მიმდებარედ და წყალტუბოს ქუჩაზე „G“ ბლოკი ქ. თბილისში (შ.პ.ს. „ვატო“); შ.პ.ს. „მერიდიანი“-ს საწარმოო კორპუსი ქიზიყის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი „მარშე“ თ. ერისთავის ქუჩაზე ქ. თბილისში; სავაჭრო ცენტრი “პანორამა“ დიდ დიღომში, ქ. თბილისში და ღვინის ქარხანა ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში (შ.პ.ს. „ედრი+“); მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი წყალტუბოს ქუჩაზე „A“ ბლოკი ქ. თბილისში; შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს ღვინის ქარხნები: საგარეჯოს რაიონის სოფელ პატარძეულთან, გურჯაანის რაიონის სოველ ველისციხეში და აჭარის არ-ის დაბა ქედაში; შუშის წრთობის საამქრო ავჭალაში, დ. სარაჯიშვილის ქ. №14ა-ში, ქ. თბილისი (შ.პ.ს. „ტანდემი“); სავაჭრო ცენტრი ქ. ქობულეთში და შ.პ.ს. „მათე-მოტორსი“-ს ავტოსალონი აღმაშენებლის ხეივანზე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „არტდიზაინ+“); ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუკულში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სოფელ ჩიხარიშის „ოქონის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირში არსებული „პეტრს ციხე“-ს პირველი ეტაპის რეაბილიტაციის პროექტი (შ.პ.ს. „რესტავრატორები და კომპანია“); თეთნულდის სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის განვითარების საპროექტო ობიექტების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ნაგებობები (შ.პ.ს. „ხუროთმოძღვარი“); ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის სოფელ ასკანაში შ.პ.ს. „კახური ტრადიციული მეღვინეობა“-ს „შატო“-დ წოდებული შენობა; მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოში „თადეოზ გურამიშვილის საგვარეულო მარანი“-ს რეაბილიტაცია და ღვინის სახლის პროექტი (შ.პ.ს. „უნი ჯგუფი“); საკონსერვო ქარხნების პროექტები ქ. ჩოხატაურსა და დაბა ქედაში (შ.პ.ს. „ვაკო“). მოცვის გადამამუშავებელი საამქრო მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაგვაზაოში და ხილის გადამამუშავებელი საამქრო ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ აგარაში (შ.პ.ს. „ბალავერი“).

პროექტების ექსპერტიზა: „ხორბლის გადამამუშავებელი წისქვილი და მაკარონის მწარმოებელი ქარხანა“ ქ.თბილისში ჭირნახულის ქ. №4-ში; ქ. თბილისში „მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები“ ა. მირცხულავას ქ. №11-ში და გორგასლის ქ. №10-ში, აგრეთვე შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩების მიმდებარედ საცხოვრებელი ჯგუფი „ფიჭვები“ (შ.პ.ს. „თბილსათბობმშენი“); „კლიჩის ხეობის 500 კვ. ეგხ. №212 და №214 ანძების მუშა პროექტი“ და „ეგხ. 500 კვ. ენგურჰესი-ცენტრალური (კავკასიონი) №27ა საყრდენის მუშა პროექტი“ (შ.პ.ს. „ვნვ და კომპანია“); „მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი ზონა“ გორგასლის ქ. №40-ში; შ.პ.ს. „რედ-კო“-ს საცხოვრებელი კომპლექსები გუდაურში და სხვ. (შ.პ.ს. „ედრი+“); ადიგენის მუნიციპალიტეტის დაბა აბასთუმანში „სასტუმრო აბასთუმანში“ (შ.პ.ს. „ბალავერი“)

შენობა-ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა: გერმანიის საელჩოს შენობა დ. აღმაშენებლის გამზირზე („თბილზნიეპი“); სპორტის სასახლე ქ. თბილისში (შ.პ.ს. „აჭარა+“); სასტუმრო „აჭარა“; ქ.ბორჯომში „კომპოზიტორთა სახლი“; „საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი“ ქ. თბილისში; შ.პ.ს. „თეგეტა მოტორსი“-ს ცენტრალური ოფისისა და უნივერსიტეტის ქუჩაზე მდებარე სერვისცენტრის შენობები; გეოლოგიური სამმართველოს შენობა ფალიაშვილის ქუჩაზე ქ. თბილისში; კურორტ საირმეს დასასვენებელი კორპუსები; საცხოვრებელი სახლი ქ. თბილისში დ. არაყიშვილის ქ. №2-ში; (შ.პ.ს. „ტანდემი“); ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. №3÷5-ში მდებარე ეროვნული ბანკის ყოფილი შენობა (შ.პ.ს. „ბალავერი“)

მყავს მეუღლე მზია აფხაძე, პროფესიით პედაგოგი. მუშაობს თბილისის № 174-ე საჯარო სკოლაში.

ვაჟი ნოდარი, დაოჯახებული. ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას შპს ბარაკონში (პროფესიული კოლეჯი) და კრეატიული განათლების სკოლაში.

ქალიშვილი თეა, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას ა. ქუთათელაძის სახ. . თბილისის სამხატვრო აკადემიაში.

მისამართი: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, კორპ. 13, ბინა 146.

ტელ: 263 22 52 მობ: 877 757 028; 5.98 922 254; 5.71 490 107

2019 წლის 11 მარტი.